



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000079129369418

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 31

07 / მაისი / 2018 წ.

დადგენილება

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და განუული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და განუული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და განუული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის N62 დადგენილება(www.matsne.gov.ge, 08/10/2015. 010250050.35.162.016347)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

07

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის პროცედურებს, ვადებსა და სამართლებრივ პირობებს.

2. ამ წესის მიზანია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრულ შემთხვევებში, უზრუნველყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაში.

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1-ლი ნოემბრისა, მოაწყოს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრები მოაწყოს და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ნებისმიერ დროს, შეუზღუდავი რაოდენობით, საკუთარი შეხედულებებისამებრ, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლის უფლებამოსილება საჯარო განხილვისას

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მერის ანგარიშის განხილვას, დასვას შეკითხვა, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

მუხლი 4. ამომრჩევლის წინასწარი ინფორმირება

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობამდე და მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენამდე 1 (ერთი) კვირით ადრე, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის განთავსებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტში არსებულ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 5. საჯარო შეხვედრების ორგანიზება

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის საჯარო შეხვედრების ტექნიკურ ორგანიზებას უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის ამომრჩეველთან შეხვედრისას დგება ამომრჩეველთან შეხვედრის ოქმი. ოქმში მითითებული უნდა იქნეს ამომრჩეველთან შეხვედრის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოკლე მიმოხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. ოქმის შედგენა შესაძლებელია აუდიოვიდეოტექნიკის გამოყენებით.

მუხლი 6. ანგარიშის გამოქვეყნება

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარდგენილი ანგარიში ოფიციალურად ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.myakhmeta.ge), კანონით დადგენილ ვადაში.

მუხლი 7. ცვლილების და დამატების შეტანის წესი

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.